საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/55 " 22 " მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ნუცუბიძის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ლევან ნუცუბიძე 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდშ ლევან ნუცუბიძის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (რ. ნადარაია; ი. ბონდარენკო; თ. ონიანი) და სამი არამოსამართლე (ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; ზ. ხარებავა) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ლევან ნუცუბიძის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენდა 539 ქულას, რაც წარმოადგენდა ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 89,83%-ს.

აღნიშნული გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენიერაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ნ. ჯანეზაშვილი; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ა. დოლიძე) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან ნუცუბიძე 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი